პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 აგვისტო სამშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 192 (14796)

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 აგვისტო სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა



სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის შესახვედრად

მეცხოველეობა რენტაბელური რომ იყოს...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმმა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მათ შორის მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარების ფართო პროგრამა დასახა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის გადაწყვეტილებებს, შეუნელებელ ყურადღებას იჩენენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, იმისათვის, რომ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად გადააქციონ.

მაგრამ, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის 21 ივლისის პლენუმის დადგენილებაშია აღნიშნული, ჯერ კიდევ ნელა ვითარდება რესპუბლიკაში მეცხოველეობა. მეცხოველეობის განვითარებას აფერხებს სუსტი საკვები ბაზა, საკმაო აქტივობით და სრულად ვერ იყენებენ პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების არსებულ რეზერვებს. რესპუბლიკის რაიონების თითქმის 40 პროცენტში თვითეული ძროხაზე რძის ნაწველი ათას კილოგრამს არ აღემატება. განსაკუთრებით დაბალია წველადობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებში, ცაგერის, ონის, გალის, გუდაუთის, ჩოხატაურის და ზოგიერთ სხვა რაიონებში.

ცნობილია, რომ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა სანაშენო მეცხოველეობის განვითარება. ამ მხრივ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობა გაუჯობესდა. სულ მოწყობილია 94 სანაშენო მეურნეობა. გასულ წელს მარტო წითელწყაროს, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების საკოლმეურნეო სანაშენო ფერმების მიერ რეალიზებულია ასობით ძროხა, ხოლო სამტრედიის რაიონის მეღორეობის სანაშენო ფერმის მიერ — 700 სულზე მეტი სანაშენო მოზარდეული.

არის ფაქტები, რომ სანაშენო მეურნეობაში თვითეულ ძროხაზე იღებენ 3.700 კილოგრამამდე რძეს. ამ მხრივ აღსანიშნავია გაგრის, საბჭოთა მეურნეობის, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ უჩმანას, წითელწყაროს რაიონის სოფლების ზემო მაჩხაანის, ჯაფარიძის მერძევეობის სანაშენო ფერმები.

მაგრამ მეცხოველეები ყველგან საჭირო მონდომებითა და ღრმა პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მათთვის მინდობილ საქმეს. ბაშკიჩეთის სანაშენო მეურნეობა მაღალი მაჩვენებლებით ერთ დროს ცნობილი იყო. აქედან მიეცა დასაბამი კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხების მოშენებას საქართველოში. ამჟამად მეურნეობა საწარმოო მაჩვენებლებისა და სასელექციო მუშაობის მხრივ ისეა დაქვეითებული, რომ რიგით სანაშენო მეურნეობადაც არ შეიძლება მივიჩნიოთ. მსგავსი ფაქტები სხვაგანაც არის. უნდა გვახსოვდეს, რომ სანაშენო მეცხოველეობა საზოგადოებრივი პირუტყვის განვითარების საფუძველია. ამიტომ მის გაუმჯობესებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

თანამედროვე სოფლისათვის ჩვეულებად იქცა დიდი მშენებლობა. უკანასკნელ წლებში აშენდა მთელი რიგი ახალი ფერმები, რომლებმაც საშუალება მოგვცა დაგვემონტაჟებინა იქ მანქანები და მოწყობილობა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში საერთოდ მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია დაბალია. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 4.280 სათავსიდან კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება შეიძლება მხოლოდ 538 სათავსში. „სოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებათა ძალებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილია მერძევეობის მხოლოდ 97 ფერმის კომპლექსური მექანიზაცია. ცხადია, ეს სრულებით არ არის საკმარისი. ასეთი მუშაობა აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივლისის პლენუმზე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ და მათი ადგილობრივი ორგანოები არ ეწევიან საჭირო მუშაობას იმისათვის, რომ უფრო სრულად იყოს გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ყველა რეზერვი, ხშირად ურიგდებიან იმას, რომ მთლიანად რესპუბლიკის კარგ მაჩვენებლებს მიღმა არიან ცალკეული მეურნეობები და რაიონებიც კი, რომლებიც წლითიწლობით ვერ ასრულებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სახელმწიფო დავალებებს. რესპუბლიკის 84 მეურნეობას განვლილ ოთხი წლის მანძილზე ერთხელაც არ შეუსრულებია რძის, ხოლო 64 მეურნეობას ხორცის დამზადების გეგმები. მაგალითად, ახალქალაქისა და ბოლნისის რაიონების ზოგიერთი მეურნეობა წლობით ვერ ასრულებს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის დავალებებს. ასევე ითქმის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესახებ.

მეცხოველეობის აღმავლობისათვის მთავარია საკვები. ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ რაიონში ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. მაგალითად, ახალქალაქის რაიონში წლების განმავლობაში ვერ ასრულებენ რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებებს. აქ სამწუხაროდ, წელსაც ვერ იყენებენ არსებულ რეზერვებს.

ამ დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება „საკვების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოების აღმასკომები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ვალდებული არიან გულდასმით გაუკეთონ ანალიზი თავიანთ მუშაობას, დასახონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების, თვითღირებულების შემცირების გზები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ითქვა, რომ სოფლის მეურნეობაში ამ ბოლო წლების მანძილზე მიღწეულია არსებითი შედეგები, მაგრამ თუ მისი განვითარების ამ შედეგებს შევაფასებთ კვების პროდუქტებსა და მრეწველობისათვის საერთო ნედლეულზე ქვეყნის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პოზიციებიდან, მაშინ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახლანდელი დონე საკმაოდ არ შეიძლება ჩაითვალოს. საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ტემპები, ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება სოფლის მეურნეობას უჭირენებს ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელების ამოცანაა განუხრელად გააუმჯობესონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება, შექმნან მყარი საკვები ბაზა, გაზარდონ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა, ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება, გადააქციონ მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის რენტაბელურ დარგად.

ᲨᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲣᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ...

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲔᲖᲘᲝᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხამტრედიის ხისდამმუშავებელი კომბინატის კოლექტივმა მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებით გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას მიენიჭა სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე კვარტალში საწარმოო წარმატებანი მოიპოვეს ახმეტის ხატყეო მეურნეობის, ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის, ბათუმის ხისდამმუშავებელი კომბინატის, მარეულისას გრეხილი ავეჯის ფაბრიკის, ბათუმის ბამბუკის ნაკეთობათა ფაბრიკის და სხვა კოლექტივებმა.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ბრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მეორე კვარტალში მუშაობის შედეგებით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ **ახმეტის ხატყეო მეურნეობის კოლექტივს** მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ახალდაბის ავეჯის ფაბრიკისა და ბათუმის ბამბუკის ნაკეთობათა ფაბრიკის კოლექტივებს მიენიჭათ საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები.

მეორე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს **საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ კოლექტივებმა.**

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „ალაზანშენის“ ტრესტის კოლექტივმა.

„საქსოფლტექნიკის“ თელავის განყოფილების კოლექტივმა მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიიღო **ზუგდიდის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის კოლექტივმა.** (საქდესი).

ᲐᲕᲔᲯᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ, ᲛᲝᲣᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲘ

თბილისის № 3 საავეჯო ფაბრიკაში (დირექტორი ნ. ბებიაშვილი) დამზადებული ავეჯი — სამზარეულო კარადები, დივან-საწოლები მოახმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პროდუქციის ხარისხს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. წლის პირველ ნახევარში არც ერთი რეკლამაცია არ მიუღიათ. ამავე დროს სისტემატურად ზრდიან პროდუქციის გამოშვებას.

მეავეჯეები ჩაებნენ სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. ფაბრიკის კოლექტივმა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა 102,7 პროცენტით შეასრულა, ავეჯის გამოშვებისა — 104,6 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 31,2 ათასი მანეთის ავეჯი, პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 3,5 პროცენტით გადაამეტა და შრომის ნაყოფიერება 4,8 პროცენტით აამაღლა.

საწარმოს მიერ მოპოვებულ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის დამამზადებელ საამქროს, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი ე. ბერტრაშვილი ხელმძღვანელობს. ასევე კარგად შრომობს საამქროს საამქროს კოლექტივი (უფროსი დ. საყვარელიძე). საიუბილეო ვახტს წარმატებით ეწევიან მუშები ა. რაზმაძე, მ. გრძელიშვილი, ო. ნასყიდაშვილი, ა. დუდაური, ე. ქიბოროშვილი და გ. ჩირგაძე, რომლებიც დღიურ დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ.

საწარმოში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ტექნიკური პროგრესის სრულყოფის საქმეს. ბოლო ხანს ფაბრიკაში ამ მხრივ ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. დამამზადებელ საამქროში დაიღგა ახალი მანქანა-დანადგარები, მოეწყო სამზარეულო ავეჯის ფილოვანი დეტალების მექანიკური დამუშავების ახალი ტექნიკური ხაზი, რამაც საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და გააუმჯობესა ავეჯის ხარისხი. საწარმოში ერთ-ერთი სიახლეა ისიც, რომ ავეჯის მოპირკეთება ძირითადად ფენოვანი პლასტიკით ხდება, რაც მას ორიგინალობასა და შოხდენილობას მატებს.

ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲘᲡ ᲤᲘᲚᲔᲑᲘ

ქუთაისის ქვის დამამუშავებელი ქარხნის კოლექტივი ჩაება სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. შვიდი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ეძლვ თვეში გრანიტის დამამუშავებლებმა გეგმასთან შედარებით 5 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 2.000 მანეთით შეამცირეს. განვლილ პერიოდში 33 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

ქარხნის კოლექტივი დღითიდღე აძლიერებს შრომის ტემპს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. („კომ.“ კორ.).

ᲤᲔᲘᲥᲠᲔᲒᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲜᲐᲚᲓᲔᲒᲔᲜ

თბილისის ყაკარდული აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა შვიდ თვეში პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 50 ათასი მანეთით გადაამეტა, 105 პროცენტით შეასრულა საერთო სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა, შრომის ნაყოფიერება 10,9 პროცენტით აამაღლა, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ქვეოსტატები ტ. კოჭლამაზაშვილი, ა. ბადრიძე, ე. შაიშმელაშვილი, მქსოველები ე. პაპიაშვილი, ნ. ბარნაბიშვილი და ო. მოროზოვა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲕᲘᲐᲮᲐᲖᲘ

მინსკი, 17 აგვისტო. (საქდესი). ბელორუსის დედაქალაქს მინსკსა და ვირმანის დემოკრატიულ რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინს შორის გაიხსნა პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა. თვითმფრინავი „ტუ-124“ წაიყვანა უზუკესი ბელორუსი მფრინავის ვ. ა. ბაგრიანოვისა ეკიპაჟმა.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, 16 აგვისტოს გაიხსნა ისტორიკოსთა XIII საერთაშორისო კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობს მსოფლიოს დაახლოებით 60 ქვეყნის ოთხი ათასამდე მეცნიერი ისტორიკოსი.

XIII კონგრესის პროგრამებშია თანამედროვე ისტორიის ორი დიდმნიშვნელოვანი თემა: პირველი — მეფფდფური — „ისტორიკოსი და სოციალური მეცნიერებანი“, კონგრესის მონაწილეთა განიხილავენ ცალკეულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ურთიერთკავშირს, ისტორიულ კვლევაში მათემატიკის მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებს, რომლებსაც უკვე მიმართავენ ეკონომიკა და სოციოლოგია. სტრუქტურული ანალიზის შესაძლებლობებსა და ფარგლებს, ისტორიული შემეცნების როლს სოციალური შეგნების ჩამოყალიბებაში.

მეორე დიდი თემაა „კონტინენტების ისტორია. ნაციონალიზმი და კოლონიალური ბრძოლა აზიისა და აფრიკის მოდერნიზაციის პროცესში“.

პირველი პლენარული სხდომა გახსნა ისტორიის მეცნიერებათა საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტმა, თვალსაჩინო ბელგიელმა მეცნიერმა პოლ არსენმა.

კონგრესის მონაწილეებს მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ აკადემიკოსმა ვ. ა. კირილინმა, რომელმაც წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მისალმება კონგრესისადმი. დამსწრენი მისალმებას ტაშით შეხვდნენ.

წაიკითხეს ავრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ. თანის წერილი კონგრესისადმი.

კონგრესის პირველ პლენარულ სხდომაზე მოხსენება „ლენინი და ისტორია“ წაიკითხა გამოჩენილმა საბჭოთა ისტორიკოსმა აკადემიკოსმა ე. მ. ჟუკოვმა.

ისტორიკოსთა XIII საერთაშორისო კონგრესის გახსნის წინ გაიმართა ისტორიის მეცნიერებათა საერთაშორისო კომიტეტის გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელმაც ისტორიის მეცნიერებათა საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტად მომდევნო ხუთწლეულისათვის აირჩია საბჭოთა მეცნიერი—აკადემიკოსი ა. ა. გუბერი. იგი თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგება მომდინარე კონგრესის მუშაობის დამთავრების შემდეგ. (საქდესი).

ᲡᲐᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲗᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲠᲐᲡᲐᲖᲔᲐ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲕᲔᲜᲔᲠᲐ-7“

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

კოსმოსური სივრცისა და მზის სისტემის პლანეტების კვლევის პროგრამის შესაბამისად 1970 წლის 17 აგვისტოს 8 საათსა და 38 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაშვეს ავტომატური საპლანეტთშორისო სადგური „ვენერა-7“.

სადგურის გაშვების ძირითადი მიზანია განაგრძოს პლანეტა ვენერას კვლევა, რასაც წინათ „ვენერას“ ტიპის ავტომატური სადგურები აწარმოებდნენ.

ავტომატური სადგური „ვენერა-7“ სრულყოფილია წინა სადგურებთან შედარებით. სადგურის წონა 1.180 კილოგრამია.

სადგური „ვენერა-7“ მატარებელი რაკეტის უკანასკნელ საფეხურთან ერთად გაფენილია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შუალედურ ორბიტაზე. 9 საათსა და 59 წუთზე მოსკოვის დროით საპროგრამო — დროებითი მოწყობილობის კომანდით ჩაირთო უკანასკნელი საფეხურის ძრავი, რომელმაც 244 წამს იმუშავა და მიანიჭა სადგურს მეორე კოსმოსური სიჩქარეზე რამდენადმე მეტი სიჩქარე.

ავტომატური სადგური „ვენერა-7“ გაყვანილია ტრაექტორიაზე, რომელიც გაანგარიშებულს უახლოვდება. 17 აგვისტოს 12 საათზე მოსკოვის დროით სადგური დედამიწიდან იმყოფებოდა 42 ათას კილომეტრ მანძილზე. დედამიწის ზედაპირის ამ წერტილის თავზე, რომლის კოორდინატებია აღმოსავლეთის გრძედის 120 გრადუსი და 15 მინუტი და ჩრდილოეთის განედის 23 გრადუსი და 30 მინუტი.

ფრენის დროს „ვენერა-7“ ავტომატურ სადგურთან გვექნება რეგულარული რადიოკავშირი და მივიღებთ სამეცნიერო ინფორმაციას 928,429 მეგაჰერცი სიხშირით.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურის სამართავი სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. ავტომატური სადგურის ფრენას მართავენ შორეული კოსმოსური კავშირის ცენტრიდან.

საგაკვირდნაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 183

1970 წლის 18 აგვისტო ქ. მოსკოვი

ამხანაგო არმიისა და ფლოტის მეომრებო!

ამხანაგო მფრინავებო და შტურმანებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის სპეციალისტებო, საავიაციო მრეწველობის მუშაკებო, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ავიატორო სპორტსმენებო!

საბჭოთა ავიაციის ვეტერანებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ავიატორთა ტრადიციულ დღესასწაულს ხვდებიან პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ვითარებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმზე დასახულმა ამოცანებმა საბჭოთა საზოგადოების შემოქმედებითი ძალების ახალი აღმავლობა გამოიწვია. მუშათა ლაკის, სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და ინტელიგენციის გმირული შრომის შედეგად წარმატებით სრულდება მერვე ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებანი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უდიდესი მიღწევა იყო საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-9“-ის მრავალი დღის რეკორდული ფრენა.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მთელ თავიანთ შემოქმედებითს ენერგიას კომუნიზმის მშენებლობის საქმეს ახმარენ, ფხიზლად ადევნებენ თვალს საერთაშორისო იმპერიალისტის ხრიკებს. მათ ნათლად აქვთ შეგნებული სერიოზული საფრთხე, რომელსაც ხალხთა საყოველთაო მშვიდობასა და უშიშრობას უქმნის იმპერიალისტთა აგრესიული მოქმედება ინდოჩინეთსა და ახლო აღმოსავლეთში. ამ პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერების ამაღლებისათვის.

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მწყობრში დგას სამხედრო ავიაცია — სოციალისტური სამშობლოს საიმედო საჰაერო ფარი. მას აქვს თანამედროვე ტექნიკა, მრისხანე იარაღი და ჯარად მომზადებული კადრები. დიდი ლენინის ანდერძის ერთგული ავიატორი მეომრები გულმოდგინედ სრულყოფენ თავიანთ პოლიტიკურ და სამხედრო ცოდნას, საბრძოლო გაწვრთნილობას, ზრდიან ქვეგანაყოფებისა და ნაწილების სიფხიზლესა და საბრძოლო მზადყოფნას.

საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ საავიაციო მრეწველობის, სამოქალაქო ავიაციის მშრომელებს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ავიატორებს.

მოგესალმებით და გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს.

სამხედრო-საჰაერო ძალების პირად შემადგენლობას ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, მხედრული დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებაში, საბჭოთა ავიაციის გმირული ტრადიციების გამრავლებაში.

საავიაციო მრეწველობის მუშაკებს, ყველა საბჭოთა ავიატორს ვუსურვებ ახალ მიღწევებს პირველი კლასის საავიაციო ტექნიკის შექმნასა და ათვისებაში.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად მბრძანებს:

დღეს, 18 აგვისტოს, 21 საათზე ადგილობრივი დროით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესასა და გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში მოეწყოს სალაღო დასასწაულო ფიეერვერკი.

გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს და მის სახელოვან საჰაერო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ა. გრეჩკო.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ხ. მ. ჭელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წლისთავ დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დამზადებათა, დაგეგვის და საორგანიზაციო-სამეურნეო გეგმების სამმართველოს უფროსი ამხ. სიმონ მოსეს-ძე ჭელიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. აბბასაძე.

თბილისი,
1970 წლის 17 აგვისტო.

ᲨᲔᲓᲒᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲡᲮᲔᲑᲘ

ᲡᲙᲙᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 8-15 აგვისტოს მოსკოვში იყო დანიის კომპარტიის ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფი პარტიის თავმჯდომარის კ. ანდერსენის მეთაურობით.

დანიელი ამხანაგები გაეცნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მუშაობის გამოცდილებას სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დარგში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობას საერთაშორისო ასპარეზზე.

დანიის კომპარტიის ხელმძღვანელი მუშაკები შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ა. ი. პელშეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ბ. ნ. პონომარიოვს. ეფხვედრამ ჩაიარა გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში, სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით. გაიმართა აზრთა გაზიარება კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებზე. (საქდესი).

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ხ. მ. ჭელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წლისთავ დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დამზადებათა, დაგეგვის და საორგანიზაციო-სამეურნეო გეგმების სამმართველოს უფროსი ამხ. სიმონ მოსეს-ძე ჭელიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. აბბასაძე.

თბილისი,
1970 წლის 17 აგვისტო.

ᲐᲡᲔ ᲕᲘᲧᲕᲔᲑᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ

უკანასკნელ წლებში აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები მეტ უურადღებას აქცევენ პარტიულ-პოლიტიკური ინფორმაციის დაუენებას. პარტიული კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები პარტიულ-პოლიტიკურ ინფორმაციას აწყობენ წინასწარ მოფიქრებული გეგმით. გასული წლის ივნისში პარტიის აფაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროომ განიხილა საკითხი „რესპუბლიკაში პარტიულ-პოლიტიკური ინფორმაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ძიღებულ იქნა პარტიულ-პოლიტიკური ინფორმაციის დაუენების ღონისძიებათა სპეციალური გეგმა. გათვალისწინებულ ღონისძიებათა მიზანია: პარტიულ-პოლიტიკური ინფორმაციის გაუმჯობესება საქალაქო, რაიონულ და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში; პარტიულ-საძეურნეო აქტივისა და იდეოლოგიურ მუშაკთა სისტემატური ინფორმირება; პოლიტიკური ინფორმაციის გაძლიერება და მისი ოპერატიულობის ამაღლება გაზეთებსა და რადიოში; მოსახლეობას შორის ზეპირი პოლიტიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ეფექტურობის ამაღლება; პარტიული ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების ცხოვრების, საზოგადოებრივი აზრისა და მოსახლეობის განწყობილების შესახებ ქვეყნიდან ინფორმაციის ორგანიზაცია და ანალიზი.

პარტიის საოლქო კომიტეტს პოლიტიკური ინფორმაციის მნიშვნელოვან უბნად მიაჩნია პარტიულ-სამეურნეო აქტივის. სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციათა მეცნიერული ორგანიზაციისა და ეროვნული ინფორმაციის ორგანიზაციის ამაღლება. ეს ამოცანა ეხმარება ინტელიგენციას ინფორმაციის ეროვნული ინფორმაციის ორგანიზაციის ეროვნული ინფორმაციის ორგანიზაციის ეროვნული ინფორმაციის ორგანიზ

მსოფლიო დღეს

დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებზე

ტოკიო, 17 აგვისტო. (საკდესი). იაპონიის ქალაქ კიოტოში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის IV საერთაშორისო კონგრესი დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებზე.

კონგრესში მონაწილეობს მსოფლიოს 80 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და სხვა ქვეყნების 1,500 წარმომადგენელი.

კონგრესის მონაწილენი განიხილავენ საკითხებს, რომლებიც ეხება დამნაშავეობისაგან სოციალური დაცვის პოლიტიკას, საზოგადოებრივობის მონაწილეობას დანაშაულთა თავიდან აცილებაში, კვლევას დამნაშავეობისაგან სოციალური დაცვის პოლიტიკის შემუშავების დარგში და სხვ.

ი. გ. ქარუმიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად გარდაცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აქკა წევრი 1930 წლიდან, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, სასტიო რკინიგზელი, ამერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე იოსებ გიორგის-ძე ქარუმიძე.

უდროოდ წავიდა ცხოვრებიდან რკინიგზის ტრანსპორტის ნიჭიერი ორგანიზატორი, თვალსაჩინო სპეციალისტი რკინიგზების ელექტრიფიკაციის დარგში, კაცი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამერკავკასიის მაგისტრალის განვითარებაში.

ი. ქარუმიძე დაიბადა 1908 წელს კასპში, მოსამსახურის ოჯახში. 1926 წელს საშუალო განათლება რომ დაამთავრა, იგი შევიდა თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1931 წელს. ჯერ კიდევ სტუდენტად ყოფნისას იგი მუშაობას იწყებს თბილისის ორთქლმავალვაგონშემეტეველ ქარხანაში ზეინკლად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ი. ქარუმიძე იგზავნება საშორის საელმავლო დეპოში რემონტის ოსტატად, ხოლო 1938 წელს ინიშნება სსრ კავშირში პირველი საელმავლო დეპოს უფროსად.

1939 წელს ი. ქარუმიძე დაწინაურებულ იქნა ამერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილედ კადრების დარგში. შემდეგ კი ინიშნება გზის უფროსის პირველ მოადგილედ, სადაც სავსებით გამოვლინდა მისი არაჩვეულებრივი ნიჭი შეხანიშნავი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელისა. ი. ქარუმიძის დაუღალავმა შუშაობამ ბევრად შეუწყო ხელი ამერკავკასიის რკინიგზის ჩაღვომას ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გზათა რიცხვში.

ი. ქარუმიძემ განვლო საპატიო შრომითი გზა ზეინკლიდან რკინიგზის ერთ-ერთ ხელმძღვანელამდე. 40 წლის ბიძინური დაუღალავი იბრძოდა წევის პროგრესული ხერეების ათვისებისა და დანერგვისა და გზის საქმესლატაციო მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მას განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვნის ამერკავკასიის მაგისტრალის სრული ელექტრიფიკაციის საქმეში.

ფართო ერუდიციის ინჟინერი ი. ქარუმიძე ავტორია ბევრი მიცნერული შრომისა და რაციონალიზატორული წინადადებისა. რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ნაშრომები ენერგიის რეკუპერაციის დარგში და ავტომატური ხელმძღვანელო „ელექტრომავალი“

იყო რა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, იგი დიდ ყურადღებას უთმობდა რკინიგზის ტრანსპორტის კვალიფიკაციური სპეციალისტებისა და მეცნიერული კადრების მომზადებასა და აღზრდას.

ი. ქარუმიძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რკინიგზელთა. რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის. მისი მაღალი პრინციპულობა და მომთხოვნელობა თავისი თავისა და ამხანაგებისადმი შეხამებული იყო განსაკუთრებულ გულისხმიერებასთან ადამიანების მიმართ, მუდმივ ზრუნვასთან მუშაოა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საჭიროებებისათვის.

ი. ქარუმიძის მთელი სიცოცხლე სამშობლოსადმი ერთგული სამსახურის მკაფიო მაგალითია წარმოადგენს. იგი აქტიურ მონაწილეობას ილებდა რესპუბლიკის პარტიულ, სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პრაქტიკოსი იყო არჩეული მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს დეპუტატად. საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა თანამშრომელ მაღალი შეფასება მისცეს ი. ქარუმიძის დამსახურებას. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, სამი „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

პრინციპული კომუნისტის, გულისხმიერი და ყურადღებიანი, გასაოცარი ადამიანის, თავმდაბალი და შრომისმოყვარე ადამიანის ი. ქარუმიძის ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება ჩვენი მისი ამხანაგისა და მეგობრის გულში.

გ. დ. ჯავახიშვილი. ნ. შ. ცხაკაია. შ. დ. კიკნაძე. ო. ი. ლოლაშვილი. ა. მ. ლაბახუა. ე. მ. ჯაფარიძე. მ. მ. ლელაშვილი. გ. ი. ქადაგიძე. შ. ე. გუხარაშვილი. ვ. ი. მარგველაშვილი. ნ. ნ. ნეფედოვი. ა. ი. გოგიანიძე. ი. თ. ურუშაძე. შ. ი. იოსელიანი. გ. ვ. ვარდოსანიძე. გ. ი. ჟორჟოლაძე. ა. ი. კოგბიაშვილი. ბ. ს. სტეფანიანი. ლ. გ. ვარდოსანიძე. გ. ს. ტურძელაძე

მიჯნიგი საარივონში

ფუნენიანი, 16 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, ეუწინა ეწვია ჩრდილოეთ ვიეტნამის პროვინციის ცენტრს — ქალაქ სარივონს.

ქალაქის საზეიმოდ მორთულ ცენტრალურ მოედანზე გაიმართა იაპონის-იმპერიალიზმის კოლონიური ბატონობისაგან კორეის განთავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი.

მიტინგის საპატიო პრეზიდიუმში იყვნენ კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ჰან დიუნ ხუკი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე ქიმ დე ხონი და კორეის სხვა ოფიციალური პირები.

საპატიო პრეზიდიუმში იყვნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ამხ. კ. ტ. მაზუროვის მეთაურობით.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ჩრდილოეთ ხვანნის პროვინციის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ ჰან ბი სონმა, რომელიც მსურველად მიესალმა საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს.

ორატორმა განაცხადა, რომ კორეის განთავისუფლება გამარჯვებაა, რომელიც კორეელმა ხალხმა მოიპოვა ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ბრძოლის შედეგად. მან ხაზგასმით აღნიშნა უდიდესი როლი, რომელიც კორეის განთავისუფლებაში შეასრულა გმირმა საბჭოთა არმიამ.

მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში ჰან ბი სონმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს, რომელიც კორეელ ხალხს დაეხმარა იაპონიის იმპერიალიზმის კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებაში, უანგაროდ ებრძოდა მას ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ სამამულო განმათავისუფლებელი ომის პერიოდში, ხოლო ომისშემდგომ პერიოდში — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენაში.

